# 8 აგვისტოს მთელი ჩვენი ქვეყანა, საბჭოთა ხალხი ზეიმით აღნიშნავენ მშენებლის საკავშირო დღეს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

№ 155 (2875) • კვირა, 8 აგვისტო, 1965 წ. • ფასი 3 კაპ.

◆ ბლედი, 7 აგვისტო. როგორც ცნობილია, ტალ—ლარსენის მატჩის IX პარტია გადადებული იყო დანიელი დიდოსტატის ერთგვარი უპირატესობით. პარტიის დამთავრებისას ლარსენმა ვერ შეძლო უპირატესობის რეალიზება და მეტოქეს ყაიმი შესთავაზა. ტალმა წინადადება მიიღო. მატჩის ანგარიშია 4,5:4,5.

◆ **სოფია**, 7 აგვისტო. „ვარნის ზაფხულის" ტურნირზე წყალბურთში ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ანგარიშით 4:1 მოუგო ბულგარელ თანატოლებს.

◆ **ოსლო**, 7 აგვისტო. 27-ე გამარჯვება მოიპოვეს შვეციის მძლეოსნებმა ნორვეგიასთან მატჩში, რომელიც ამჯერად რიგით 30-ე იყო. შეხვედრის ანგარიშია 119:93.

◆ **ბუქარესტი**, 7 აგვისტო. **რუმინეთის ქალაქ სნაგოვში 13-15 აგვისტოს გაიმართება ევროპის ჩემპიონატი ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობაში. მასში გამოვა 19 ქვეყნის 379 სპორტსმენი.**

◆ **ლაიპციგი**, 7 აგვისტო. გდრ-ს ამ ქალაქში გამართულ პარაშუტისტთა საერთაშორისო შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავა საბჭოთა სპორტსმენმა ო. კაზაკოვმა. მან 1000 მეტრი სიმაღლიდან განგრძლივებულ ხტომაში მოაგროვა 745,92 ქულა. აქ პირველი იყო ჩეხოსლოვაკიელი ვ. კუმბარი — 748,32. ქალთა შორის ორი პირველი ადგილი მოიპოვეს ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა — ლ. ერიომინამ და ვ. ტიტარენკომ.

## რესპუბლიკის სპორტკავშირში

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის და სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს გადაწყვეტილებით თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივის უფროსი ა. ღოღობერიძე განთავისუფლებულია გუნდიდან და გადაყვანილია „დინამოს" საბჭოში ფეხბურთის მწვრთნელად.

გუნდის უფროსად დანიშნულია სპორტის ოსტატი ა. კოტრიკაძე, მწვრთნელად — სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ჩოხელი.

## VIII პროფკავშირული

მოსკოვი. 7 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს გრძელდებოდა ჩვენი ქვეყნის პროფკავშირთა VIII საზაფხულო სპარტაკიადა. გაიმართა ფრენბურთელთა უკანასკნელი შეხვედრები. საქართველოს ვაჟთა გუნდმა დაამარცხა სომხეთი — 3:0 და VIII ადგილი დაიკავა. ჩემპიონი გახდა ლატვია. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ უკრაინისა და აზერბაიჯანის გუნდები. ქალთა შორის საქართველოს კოლექტივმა წააგო ყაზახეთთან — 1:3, რის გამო იგი IX ადგილზე გამოვიდა. ფრენბურთელ ქალთა პირველობა მოიგეს აზერბაიჯანელებმა. მეორეა უკრაინა, მესამე — ლენინგრადი.

წყალბურთი. II ტურში საქართველო ეთამაშებოდა მოლდაველთ და დიდი ანგარიშით — 6:1 (1:0, 2:0, 1:1, 2:0) დაამარცხა იგი. ქვეჯგუფში 2-2 გამარჯვებით ლიდერობენ საქართველოსა და ლენინგრადის კოლექტივები. დღეს ამ გუნდების მატჩი გაარკვევს, თუ რომელი კოლექტივი შევა ფინალში წაგებით, რომელი გამარჯვებით.

ტყვიით სროლა. დამთავრდა გუნდური პირველობანი კიდევ სამ ვარჯიშში. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სტანდარტზე (3×40) სროლაში გაიმარჯვეს მოსკოველებმა. მათ 4553 ქულა მოაგროვეს. ჩვენმა მსროლელებმა V ადგილი (4460 ქულა) მოიპოვეს. რევოლვერ-პისტოლეტიდან სროლაც მოსკოველთა უპირატესობით აღინიშნა — 2318 ქულა. საქართველოს გუნდის შედეგია 2286 ქულა (VII ადგილი). მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან სროლაში ჩემპიონი გახდა რსფსრ — 1720 ქულა. საქართველო VII ადგილზეა — 1664 ქულა.

საგზატკეცილო ველორბოლა. 7 სახეობის შემდეგ ლიდერობს რსფსრ — 12 საჯარიმო ქულა. საქართველო ლიტვასთან ერთად იყოფს X-XI ადგილებს — 85-85 ქულა.

ტრეკი. 6 სახეობის შემდეგ 13 საჯარიმო ქულა აქვს მოსკოვს და I ადგილზეა. ჩვენი რესპუბლიკა ჯერჯერობით X ადგილზე იმყოფება — 53,5 ქულა.

შაში. IV ტური. საქართველო — ლატვია — 0:4.

ტანვარჯიში. პირად პირველობაში ჩვენმა სპორტსმენებმა ც. ქკადუამ (ორძელზე — 18,65 ქულა) და ი. ბალიაურმა (რგოლებზე — 18,75) IV ადგილები დაიკავეს.

მაგიდის ჩოგბურთი. საქართველო-უკრაინა — 4:11.

კრივი. პირველივე შეხვედრა წააგო ნ. ქიქავამ. იგი დამარცხდა გ. ტარასოვთან (თურქმენეთი).

ხელბურთი. ჩვენმა ვაჟებმა დღეს სძლიეს ესტონეთს — 38:14 (16:5). ქვეჯგუფში მათ ერთი მატჩი დარჩათ (უზბეკეთთან). მისი შედეგის მიუხედავად, ისინი გავიდნენ I-VI ადგილებისთვის მებრძოლთა ჯგუფში. ქალები ბრძოლას გააგრძელებენ VII-XII ადგილებისთვის. მათ დღეს დაამარცხეს თურქმენეთის სპორტსმენები — 18:5 (9:2).

საღამოს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე მოეწყო სპარტაკიადის საზეიმო გახსნა. მონაწილეთა პარადის შემდეგ, წინა სპარტაკიადის ჩემპიონებმა აღმართეს სპარტაკიადის ალამი. გაიმართა ტანმოვარჯიშეთა, აკრობატების მასობრივი გამოსვლები. გრძელდებოდა ასპარეზობა მძლეოსნობაში. დასასრულს შედგა ორი პროფკავშირული გუნდის — „მოსკოვის „ტორპედოსა" და „სპარტაკის" მატჩი ჩვენი ქვეყნის პირველობაზე.

**ჯ. ენუქიძე.**

• • •




სურათებზე: ზემოთ — ა. ჩაიკოვსკაიას (საქართველო) და ი. პოპრუკაილოს (უკრაინა) შეხვედრის მომენტი. მარცხნივ — სპარტაკიადის ჩემპიონი ც. ქკადუა ხტომის დროს. საფარიკაო ბილიკზე ერთმანეთს ხვდებიან გ. ლორთქიფანიძე (საქართველო) და ა. ნოვიკოვი (აზერბაიჯანი) — მარცხნივ.

ფოტო მ. ზარგარიანისა. (ჩვენი სპეც. კორ.).

● ბლედი, 6 აგვისტო. ტალ—ლარსენის მატჩის IX პარტიაში ტალმა (შავები) თავიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა და გარკვეული პოზიციური უპირატესობა მოიპოვა. გამარჯვება ახლოს იყო, როცა ტალმა რამდენიმე შეცდომა დაუშვა და მოგების შანსები ლარსენის მხარეს აღმოჩნდა. დანიელმა ვერ გამოიყენა ხელსაყრელი მომენტი და პაიკის მოგებით დაკმაყოფილდა. პარტია გადაიდო. სპეციალისტების აზრით, ტალს დიდი შრომა დასჭირდება ყაიმის მისაღწევად. 9 პარტიის შემდეგ მატჩის ანგარიშია 4:4 (1 გადადებული პარტია).

● **ოულუ**. აქ გაიმართა ფინეთის კალათბურთელთა მეორე მატჩი შეერთებული შტატების ნაკრებთან. როგორც პირველ შეხვედრაში (იგი ჰელსინკში ჩატარდა), ამერიკელთა უპირატესობა ამჯერადაც უცილობელი იყო — 93:51 (40:19). შეერთებული შტატების გუნდში ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელები იყვნენ: ბრედლი, პეტცელი და ჰადსონი. უკანასკნელმა თავის კოლექტივს 28 ქულა მისცა.

● რომი. დამთავრდა იტალიის პირველობა ტრეკზე პროფესიონალთა შორის. სპრინტერული რბოლა მოიგო მსოფლიოს ჩემპიონმა ა. მასპესმა. ფინალში მან ორჯერ დაამარცხა ს. გაიარდონი (უკანასკნელ 200 მეტრზე — 10,9 და 11,8). გამოდევნებით 5 კილომეტრზე რბოლაში უძლიერესი იყო ლ. ფაჯინი — 6.04,0.

● პრაღა. **ჩეხმა ველოსიპედისტმა ელინეკმა 500 მეტრზე ადგილიდან გიტში შესანიშნავი დრო აჩვენა — 34,1. დანიელმა პედერსენმა იგივე დისტანცია სვლით 29,5 დაფარა, რაც მხოლოდ 0,1 უარესია მსოფლიო რეკორდზე.**

● ბარსელონა. **ახლოვდება „დევისის თასის" (მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატი ჩოგბურთში) გადამწყვეტი ეტაპი — საზონათაშორისო ტურნირის ფინალი. ევროპის ზონაში, რომელიც ბარსელონაში გაიმართა, ერთმანეთს შეხვდნენ ესპანეთისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის გუნდები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 4:1.**

● **დალასი**. „დევისის თასის" ამერიკული ზონის ფინალში თამაშობდნენ აშშ-სა და მექსიკის გუნდები. ანგარიშით 4:1 გაიმარჯვეს ამერიკელებმა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა ჩოგბურთელმა მექსიკელმა ოსუნამ ორივე ერთეული თამაში წააგო.

● **რომი. იტალიის ოლიმპიური კომიტეტი მექსიკაში 26 დღით აგზავნის სპორტულ დელეგაციას, რომელშიც შევა 28 სპორტსმენი, 2 ხელმძღვანელი, 2 მეცნიერ-მუშაკი და 8 ტექნიკური მუშაკი. დელეგაციის მიზანია შეისწავლოს მომავალი ოლიმპიადის ქალაქის თავისებურებანი.**





# აღნიშნავენ მშენებლის დღეს

ორი ათეული წლის წინათ ტრამალ მინდვრებზე მოვიდნენ სამშენებლო იარაღებით აღჭურვილი ადამიანები და ახალი ქალაქის, ახალი საწარმოს მშენებლობა დაიწყეს. მალე კარვები მრავალსართულიანმა სახლებმა შეცვალეს და საქართველოს რუკაზე გაჩნდა მეტალურგთა ქალაქი რუსთავი. ახლა აქ ათობით მშენებელთა ფიზკულტურული კოლექტივია, რომლებიც 8 აგვისტოს ახალი სასახელო შრომითი მაჩვენებლებით აღნიშნავენ თავიანთ დღესასწაულს — მშენებლის საკავშირო დღეს.

მოწინავეთა რიგებშია ამიერკავკასიის მეტალურგმშენის № 1 ტრესტის გაერთიანებული კოლექტივი. მშენებელთა ეს ორგანიზაცია ამჟამად 600-მდე მუშა-თანრიგოსანს ითვლის, ძლიერი გუნდები ჰყავთ ფრენბურთში (ქალები), კალათბურთში, ცურვაში, ველოსპორტსა და ქართულ ჭიდაობაში. ქალაქის მოწინავე სპორტსმენები არიან მემონტაჟე, ძალოსანი გ. წნორიაშვილი, კალატოზი, მოჭიდავე ა. ყრუაშვილი, ფრენბურთელი ლ. პილიპენკო, ნიჩბოსანი ა. გაგარინი, კალათბურთელი კ. ნაჭყებია და სხვები. ისინი ყოველდღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

აქაურ სპორტსმენებს ტოლს არც სხვები უდებენ. რუსთაველი ფიზკულტურელები ზეიმით აღნიშნავენ მშენებლის საკავშირო დღეს. გაიმართება საინტერესო ამხანაგური შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

რ. გაბრიჭიძე.
(საკ. კორ.).



# სტარტი „აილამადან" იწყება

ქართველი მთამსვლელებისთვის განსაკუთრებით სასიხარულო გამოდგა წლევანდელი სეზონი. მუშაობა დაიწყო პირველმა ქართულმა ალპინისტურმა ბანაკმა „აილამამ".

ქუთაისის ალპური კლუბი ბანაკის გახსნას უძღვნის თავის საკონკურსო ტრავერსს აილამა—ბეზენგი. ტრავერსი ითვალისწინებს კავკასიონის მთავარი ქედის აილამა—ნამყვამ—შხარას მონაკვეთის და ჩრდილოეთის დიდი მასივის მიჟირიგი — დიხ-თაუ—მისეს-თაუს გადასვლას. იგი გართულებულია 3 კედლით (აილამას სამხრეთი კედელი, აღმოსავლეთ შხარას სამხრეთ-აღმოსავლეთი და მიჟირიგის სამხრეთი კედლები), რომლებიც ცალცალკე ტექნიკურად ურთულეს მარშრუტებს წარმოადგენენ.

ქუთაისის მთამსვლელთა ექსპედიციას ხელმძღვანელობს რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ა. ნემსიწვერიძე. მოიერიშე ჯგუფში შედიან მ. ხერგიანი, ჯ. კახიანი, ჯ. გუგავა, ვ. გაბელაშვილი, გ. წერედიანი, ა. ახვლედიანი და ი. ნარჩემაშვილი. დამხმარე-მოთვალთვალე ჯგუფში არიან ნ. ნემსიწვერიძე, ვ. მინდაძე, დ. ცომაია, მ. ჭიჭინაძე და შ. გაბისიანი.

მოიერიშე ჯგუფმა ახლახან დაამთავრა ტრასის შესწავლა. მის წინაშე იდგა მეტად რთული პრობლემა: ხანგრძლივი იერიშისათვის პროდუქტების გადატანა შხარა-მიჟირიგის რაიონში და შხარის დასავლეთ ქედის კვანძის გამოცანის ამოხსნა. 21-28 ივლისს, შეუპოვარი მუშაობის შედეგად კავკასიონის მთავარ ქედზე ნამყვამ-შხარას შორის მიგნებული იქნა გადასასვლელი „საპოვნელა". აღმოსავლეთი შხარის „ბარიერის ქედით" მოხდა დიხ-სუს ყინვარზე დაშვება და იქიდან ბეზენგის რაიონში მოეწყო პროდუქტების საწყობი, ხოლო „ბარიერის ქედის" განშტოების დასაწყისიდან ამოხსნილია შხარას დასავლეთ ქედების ხლართები. უახლოეს დღეებში მოიერიშე ჯგუფი სტარტს აიღებს მწვერვალ აილამას სამხრეთ ფრიალო კლდიდან.

შ. ნიჟარაძე.
(საკ. კორ.).

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ალპინისტები მწვერვალის იერიშის დროს.
ფოტო ვ. გაბელაშვილისა.

# „სპარტაკის" პრიზი თბილისში

ცენტრალური საბჭოს პირველობა საავტომობილო სპორტში

სპორტის ტექნიკურ სახეობებში რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ავტომობილისტთა შეჯიბრების დამთავრებისთანავე, თბილისის მე-2 სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორის ორი გუნდი ლენინგრადში გაემგზავრა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატში მონაწილეობისთვის.

„სპარტაკის" ნაკრები წლების განმავლობაში წარმატებით გამოდის საკავშირო ჩემპიონატებში და ახლა თავისი პირველობის ჩატარებით გუნდის გადახალისება სურდა, საქართველოს ავტომობილისტების გარეშე კი ეს არც თუ ისე იოლი საქმე იყო.

თბილისელი ავტომობილისტებისა და ცენტრალური საბჭოს მწვრთნელმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ბ. შულცმა სპორტსმენები ჩაიყვანა ლენინგრადში. ასპარეზობა „ნევის რკალზე" ორ ეტაპად მოეწყო. თითეულ ეტაპში სარბოლ მანქანებს 50-50, ხოლო სპორტულს 100-100 კილომეტრი უნდა გაევლოთ. გამარჯვებულს ავლენდა ორი ეტაპის ჯამი. რესპუბლიკათა ნაკრებ გუნდებს გარდა ჩემპიონობა ფიზკულტურულ კოლექტივებს შორისაც თამაშდებოდა.

თბილისის მე-2 სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორის მეორე გუნდი პირველსავე ეტაპზე დაწინაურდა. მის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ოსტატები ვ. გლურჯიძე, თ. ზახაროვი და ი. პოლტორაცკი (სულ ტურნირში 28 ფიზკულტურული კოლექტივი მონაწილეობდა). ხუთეულში იყო თბილისის ამავე კანტორის პირველი გუნდიც (ო. გარსევანიშვილი, კ. ტაბიძე და მ. ლოგინოვი).

ამ ეტაპზე პირადში სარბოლი მანქანებით შეჯიბრებაში ლიდერობა ხელთ იგდეს ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა ზახაროვმა და გლურჯიძემ, მაგრამ შემდეგ, ტექნიკური მიზეზით ზახაროვმა რბოლა მიატოვა. სამაგიეროდ, გლურჯიძემ ბოლომდე შეინარჩუნა მოწინავე პოზიცია და ეტაპი მოიგო. მეორე ცდაზე ისევ გლურჯიძე და ზახაროვი დაწინაურდნენ. მათ კვალში მისდევდა პირველგუნდელი გარსევანიშვილიც, ისე, რომ ამ მეტად ამაღელვებელ ტურნირს საქართველოს სამი სპორტსმენი ლიდერობდა. ეტაპი მოიგო ზახაროვმა, გლურჯიძე მეორე იყო. ორი ცდის ჯამში „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობა წილად ხვდა გლურჯიძეს. გარსევანიშვილი მეორე ადგილზე გამოვიდა, ზახაროვი — მეოთხეზე.

სპორტული მანქანებით ასპარეზობაში თავი ისახელა თბილისელმა პოლტორაცკიმ. პირველი ეტაპი მან მესამემ, ხოლო მეორე ეტაპი — პირველმა დაამთავრა და ჩემპიონობაც დაისაკუთრა. ლენინგრადელი ნ. პროკოფიევი მეორე ადგილზე გამოვიდა.

შეჯამდა საერთო გუნდური შედეგები. „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობა წილად ხვდა თბილისის მე-2 სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორის II გუნდს. მასვე გადაეცა ფიზკულტურული კოლექტივებისთვის დაწესებული გარდამავალი თასი, რომელსაც 4 წელს ფლობდნენ ლენინგრადელები. ნაკრებ გუნდებს შორის გაიმარჯვა ლენინგრადმა, საქართველოს „სპარტაკი" მეორე ადგილზეა.

ჩემპიონატზე განცდილი მარცხისთვის თ. ზახაროვმა „შური იძია" ერთი კვირის შემდეგ აქვე გამართულ ლენინგრადის ღია ჩემპიონატში. მან ყველა მეტოქე დაამარცხა, მათ შორის ჩვენი ქვეყნის სამგზის ჩემპიონი, ლენინგრადელი მ. კოვალიოვიც და ლენინის ქალაქის ჩემპიონი გახდა.

ეს იყო საქართველოს სპორტსმენების დიდი გამარჯვება.

ო. ივდოშვილი.

• • •



ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს სპარტაკელები. დგანან მარცხნიდან — მ. ლოგინოვი, ვ. გლურჯიძე, ო. გარსევანიშვილი, ბ. შულცი, თ. ზახაროვი, გ. ნატრაძე (მექანიკოსი), ი. პოლტორაცკი. სხედან — ფ. ნარიმანიძე, გ. ცქიტიშვილი (მექანიკოსები) და კ. ტაბიძე.

# ჟურნალისტთა შტაბი — პრეს-ცენტრი

პროფკავშირების სპარტაკიადა გიგანტური სპორტული მექანიზმია, რომელიც გარდიგარდმო სერავს მოსკოვს. შეჯიბრებები დილით ადრე იწყება და თავდება გვიან ღამე. ზოგჯერ ასპარეზობა ერთდროულად 12 და მეტ სახეობაში ტარდება. რა თქმა უნდა, დღის განმავლობაში ყველა სპორტული ბაზის შემოვლა წარმოუდგენელია. აი, სწორედ აქ იწყება ჟურნალისტთა გაჭირვება, მაგრამ მათ დიდ დახმარებას უწევს პრეს-ცენტრი, რომელიც გულმოდგინედ აგროვებს ცნობებს, შედეგებს.

ჟურნალ „ფიზკულტურა ი სპორტის" რედაქტორის პ. სობოლევის თქმით (რომელიც ამ დღეებში პრეს-ცენტრს ხელმძღვანელობს) სპარტაკიადისადმი ინტერესი იმდენად დიდი გამოდგა, რომ აკრედიტებულ ჟურნალისტთა რიცხვმა საორგანიზაციო კომიტეტისვარაუდს ერთი-ორად გადააჭარბა.

მოსკოვში იმყოფება 15 მოკავშირე რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებისა და რადიო-ტელევიზიის 62 წარმომადგენელი. ამას გარდა, თამაშებზე ცენტრალურ და მოსკოვის პრესას 150 ჟურნალისტი ემსახურება. ყველაზე მძლავრი და სოლიდური „გუნდი" — 18 კაცის შემადგენლობით — გაზეთ „სოვეტსკი სპორტსა" ჰყავს.

ყოველ შეჯიბრებას კინოფირზე იღებენ დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის ოპერატორები. ამ სტუდიის კინოჯგუფს ხელმძღვანელობს რეჟისორი ბ. ვოლანდი.

# სეზონის უმნიშვნელოვანესი ღონისძიება

გუშინ ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა პროფკავშირების VIII საკავშირო სპარტაკიადა. ამ მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიების გახსნა დიდ სპორტულ დღესასწაულად გადაიქცა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკისა და დედაქალაქის სპორტულმა წარმომადგენლებმა.

როგორც საკავშირო პროფკავშირების ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგემ ა. პასეჩნიმ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, სულ სპარტაკიადაში მონაწილეობა მიიღო 15-მა მილიონმა მუშამ, მოსამსახურემ, კოლმეურნემ და სტუდენტმა — ერთნახევარჯერ მეტმა, ვიდრე 1961 წელს. შეჯიბრებები ჩატარდა 70 ათას ფიზკულტურულ კოლექტივში. ამ ხნის განმავლობაში გაუმჯობესდა მსოფლიოსა და ევროპის 17 და 40 საკავშირო რეკორდი. ეს ციფრები იმის მაჩვენებელია, რომ პროფკავშირების სპარტაკიადა მეხიკოს ოლიმპიადისთვის მზადების ნაყოფიერ საფუძველს ქმნის.

სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები სპორტის 28 სახეობაში ტარდება. როგორც ხედავთ, იგი საგრძნობლად აღემატება თვით ოლიმპიური თამაშების პროგრამას. ფინალისტთა შორის 100-ზე მეტი ფიზკულტურული კოლექტივის გუნდია. ისინი პირველობისთვის სპორტის 5 სახეობაში იბრძვიან.

დასკვნით შეჯიბრებებზე საბჭოთა სპორტსმენებს სტუმრად ეწვივნენ იტალიის, ჩეხოსლოვაკიის, ფინეთის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების დელეგაციები.

## სპარტაკიადის ირგვლივ

# წიქლაურების სპორტული ოჯახი

„კრილია სოვეტოვის" სპორტული დარბაზი. აქ ეს-ეს არის დაიწყო მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირი. შეჯიბრების მონაწილეთა გვარების ჩამოთვლისას დიქტორმა სამჯერ გამოაცხადა — წიქლაური! შეცდომაა? არა! უბრალოდ, ტაჯიკეთის გუნდში, მართლაც, სამნი ატარებენ ამ გვარს. გუნდის მწვრთნელი ვალიკო წიქლაური, დუშანბეს ერთ-ერთი სკოლის ფიზიკის მასწავლებელია, მისი უმცროსი ძმა, სტუდენტი გიორგი და მეუღლე რაისა — რუსული ენის პედაგოგი.

მაგრამ ეს, ასე ვთქვათ, ოჯახის მეორე თაობაა, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს სპორტთან. წიქლაურების გვარს რამდენიმე დღით ადრე სპორტის სასახლეშიც (ტანმოვარჯიშეთა ტურნირის დროს) გაიგონებდით.

იქ, მონაწილეთა შორის იყვნენ ვალიკოსა და გიორგის მშობლები — მიხეილ აბრამის ძე წიქლაური — ტაჯიკეთის ვაჟთა გუნდის მწვრთნელი და მისი მეუღლე ვერა პეტრეს ასული — ქალთა გუნდის მწვრთნელი.

30-იანი წლების დამდეგს ისინი, ლენინგრადის ლესგაფტის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულები, საცხოვრებლად გაემგზავრნენ ტაჯიკეთში. ჯანღონით სავსე ახალგაზრდებმა ენერგიულად მოკიდეს ხელი სპორტის პროპაგანდას იქ, სადაც ადრე მის შესახებ არაფერი იცოდნენ. შვილები მშობლების კვალს გაჰყვნენ!

## სსრ კავშირის პირველობა

„ა" ტაბლო

### გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 8 აგვისტოსათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 18 | 13 | 4 | 1 | 32—10 | 30 |
| „დინამო" (კიევი) | 17 | 11 | 4 | 2 | 30—11 | 26 |
| ცსკა | 17 | 7 | 8 | 2 | 19— 7 | 22 |
| „დინამო" (მინსკი) | 17 | 8 | 6 | 3 | 19— 7 | 22 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 17 | 6 | 6 | 5 | 15—11 | 18 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 17 | 6 | 6 | 5 | 22—20 | 18 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 16 | 5 | 7 | 4 | 20—14 | 17 |
| „დინამო" (თბილისი) | 17 | 6 | 5 | 6 | 19—17 | 17 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 17 | 5 | 7 | 5 | 19—20 | 17 |
| სკა (როსტოვი) | 17 | 4 | 9 | 4 | 16—17 | 17 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 17 | 3 | 9 | 5 | 15—16 | 15 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 17 | 4 | 7 | 6 | 18—26 | 15 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 17 | 6 | 2 | 9 | 16—23 | 14 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 18 | 4 | 6 | 8 | 25—33 | 14 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 17 | 4 | 4 | 9 | 20—27 | 12 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 16 | 4 | 1 | 11 | 12—33 | 9 |
| სკა (ოდესა) | 16 | 1 | 3 | 12 | 7—32 | 5 |

• • •

**მოსკოვი. 7 აგვისტო.** აქ გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები — „ტორპედო" და „სპარტაკი".

მატჩის პირველი ნახევარი მიმდინარეობდა უინტერესოდ, დაბალ ტემპში და დამთავრდა უშედეგოდ. თამაში გამოცოცხლდა მხოლოდ შესვენების შემდეგ. ტორპედოელთა ერთ-ერთი იერიში გოლით დაამთავრა გუნდის კაპიტანმა ვ. ივანოვმა — 1:0. „სპარტაკს" შეეძლო თავი დაეღწია დამარცხებისათვის, მაგრამ ი. სევიდოვმა ვერ გამოიყენა პენალტი. ლიდერმა მორიგი 2 ქულა ჩაიწერა გათამაშების ცხრილში.



## სსრ კავშირი — აშშ

ამერიკელები ჩვენს ქვეყანაში გამარჯვების რწმენით მოდიოდნენ. მათ ამის გარანტიას აძლევდა თავიანთ ჩემპიონატში ნაჩვენები შედეგები, რომლებიც საბჭოთა სპორტსმენების მიღწევებს მთელი მეტრებითა და წამებით აღემატებოდა. სტუმრებს იმედი გაუცრუვდათ. კიევიდან ოკეანისგაღმელები ისე გაბრუნდნენ, რომ თან წაიღეს გამანადგურებელი დამარცხების სიმძიმე. როგორც უკვე ცნობილია, მასპინძლებმა მატჩი მოიგეს 181,5:155,5. და მაინც, ამერიკელებმა კიევში მოიპოვეს, რითაც შეუძლიათ იამაყონ. ეს არის 100 მ ქალთა შორის რბენაში ვ. ტეიესის მიერ მსოფლიო რეკორდის გამეორება — 11,1 და 14 წლის მ. მუდლერის 800 მეტრზე ეროვნული რეკორდის გაუმჯობესება — 2.07,3.

ს უ რ ა თ ზ ე: ქალთა შორის 100 მ რბენის ფინიშთან. წინაა ვ. ტეიესი.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

# ბ უ შ ი ნ...

**„მეტალურგი" (რუსთავი) — „დინამო" (კიროვაბადი) 2:1**

**რუსთავი. 7 აგვისტო.** აქ გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ „ბ" კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდები — „მეტალურგი" (რუსთავი) — „დინამო" (კიროვაბადი).

რუსთავის ფეხბურთელები ერთობ სუსტად თამაშობენ წლევანდელ სეზონში. ზონაში დაიწყო მეორე წრე და გუნდს 7 აგვისტოსათვის ჰქონდა მხოლოდ ერთი, ერთადერთი გამარჯვება. და აი რუსთაველებს, რომლებიც ბოლო ადგილზე იმყოფებიან, საკუთარ მინდორზე მოუწია შეხვედრა ზონის ლიდერთან — კიროვაბადის „დინამო!"თან".

უნდა ითქვას, რუსთავის „მეტალურგს" წელს არ უთამაშია ასეთი მონდომებით და ენერგიით, ასეთი კოლექტიურობით. დაიწყო მატჩი და მასპინძლებმა მაშინვე სწრაფი ტემპი შესთავაზეს მოწინააღმდეგეს. დინამოელთა კართან შეიქმნა რამდენიმე კრიტიკული მომენტი, ხოლო მე-10 წუთზე ხაბეიშვილმა ძელს მოახვედრა ბურთი.

შეტევა შეტევას მოსდევდა კიროვაბადელთა კართან, მაგრამ... ბურთი სწორედ პირიქით გავიდა— „მეტალურგის" კარში: მალინოვსკიმ შორიდან დაარტყა და ანგარიშიც გახსნილ იქნა — 1:0.

გავიდა რამდენიმე წუთი. მასპინძლები კვლავ იერიშზე იყვნენ, რომელთაგან ერთ-ერთი გოლით დაამთავრა კონიაშვილმა — 1:1.

განსაკუთრებით დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა მატჩის დასასრული. ბურთი ძირითადად კიროვაბადელთა ნახევარზე ტრიალებდა, „მეტალურგის" თავდამსხმელმა ხაბეიშვილმა ძნელი მდგომარეობიდან დაარტყა კარში და გოლი გატანილ იქნა. რუსთავის ფეხბურთელებმა მიაღწიეს ძნელ, მაგრამ დამსახურებულ გამარჯვებას — 2:1.

**რ. გოგრიჭიანი.**

„ბ" ტაბლო

**„მეშახტე" (ტყიბული) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 2:1**

**ტყიბული, 7 აგვისტო.** ძალზე საპასუხისმგებლო მატჩი ჰქონდათ ადგილობრივი „მეშახტის" ფეხბურთელებს. მათი მოწინააღმდეგე იყო რსფსრ-ს IV ზონის ერთ-ერთი ლიდერი — ორჯონიკიძის „სპარტაკი".

ტყიბულელებმა კარგად ჩაატარეს მატჩი და მიაღწიეს გამარჯვებას ანგარიშით 2:1.

**ზ. ჯორჯაძე.**



## იაპონელთა გეგმები

როგორც ცნობილია, ევროპის ქვეყნებში ტურნეს ატარებს იაპონიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. მან ჩვენს ქვეყანაში ჩაატარა 4 მატჩი, 2-ს ითამაშებს უნგრეთში, საიდანაც გაემგზავრება გფრ-ში.

უნგრეთის გაზეთ „მადიარ ნემზეტის" კორესპონდენტთან საუბარში იაპონიის გუნდის მწვრთნელმა სუნისიროს განაცხადა, რომ იაპონიაში ფეხბურთის ნამდვილი განვითარება დაიწყო მხოლოდ რომის ოლიმპიადის შემდეგ. მიმდინარე წელს ამ ქვეყნის სპორტის ისტორიაში პირველად შეიქმნა საფეხბურთო ლიგა.

— ავამაღლოთ ჩვენი ფეხბურთელების ოსტატობა. ავიყვანოთ იგი საერთაშორისო დონემდე. უფრო წარმატებით გამოვიდეთ მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე — ასეთია იაპონური ფეხბურთის ამოცანა — თქვა დასასრულ სუნისირომ.

# „შრომითი რეზერვების" ორი პირველობა

ლენინგრადსა და მინსკში ჩატარდა „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს პირველობა სპორტულ ტანვარჯიშსა და ცურვაში. ლენინგრადში ასპარეზობდნენ ტანმოვარჯიშეები. პირველი ადგილი მოიპოვეს რსფსრ-ს სპორტსმენებმა. მასპინძლები გამოვიდნენ მეორე ადგილზე, ხოლო საქართველოს გუნდი — მესამეზე. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ჩვენი რესპუბლიკის ტანმოვარჯიშეებმა საპრიზო ადგილი მოიპოვეს ცენტრალურ საბჭოს ჩემპიონატში.

აქვე მიმდინარეობდა პროფტექგანათლების სისტემის ტექნიკუმების ჩემპიონატი, გაიმარჯვა ლენინგრადმა. თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმი მეორე ადგილზეა.

მინსკში მოცურავეთა შეჯიბრებაზე, რომელიც პროფტექნიკური განათლების სისტემის დაარსების 25 წლისთავს მიეძღვნა, ასპარეზობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ-ს, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, ლატვიისა და საქართველოს კოლექტივები. 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში გოგონათა შორის II ადგილი დაიკავა ლ. ხოსიტაშვილმა — 1.29,3. ვაჟთა შორის III ადგილზე გამოვიდა თბილისელი ვ. ონუფრიენკო — 1.16,2. 400 მ კომპლექსურ ცურვაში ჭაბუკთა შორის თავი ისახელა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ს. პოლუნინმა. იგი ფინიშთან მეორე იყო — 5.50,4. 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ვ. ონუფრიენკომ აჩვენა 20.09,3, რამაც მას II საპრიზო ადგილი მოუპოვა. დ. მამულაშვილი IV ადგილზეა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მოსკოველებმა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ბელორუსიისა და საქართველოს გუნდები.

**ს. მებრელიშვილი.**

# პრეს-კონფერენციის შემდეგ

**გფრ-ის** სამხედრო მინისტრმა კაი უვე ფონ ჰასელმა და დასავლეთ გერმანიის სპორტული კავშირის პრეზიდენტმა ვილი დაუმემ ამას წინათ ჩაატარეს უჩვეულო პრეს-კონფერენცია. 42 წუთის განმავლობაში მინისტრი და პრეზიდენტი ლაპარაკობდნენ სამხედრო პირთა და სპორტსმენებს შორის არსებულ „ურღვევ მეგობრულ კავშირზე". ჰასელი შეპირდა კიდეც გფრ-ის სპორტსმენებს მათთვის ფინანსების გაღებას ვარჯიშისა და საზღვარგარეთ გამგზავრების დროს. თავის მხრივ, დაუმე ფეხქვეშ გაეგო სამხედრო მინისტრს, პირობა მისცა, რომ მისი სრული მონა-მორჩილი იქნებოდა: „ძნელია გამონახოს მინისტრთა შორის ისეთი, რომელსაც ასეთი დამოკიდებულება აქვს სპორტთან და ისე ჰარმონიულად იყოს შეთანხმებული ჩვენთან, როგორც ბატონი ჰასელი".

პრეს-კონფერენცია ისე სწრაფად დაამთავრეს, რომ ჟურნალისტებს აღძრულ საკითხზე პასუხის მიღების საშუალება არ მისცეს. დასავლეთგერმანულმა პრესამ გამოაქვეყნა ცნობა ამ პრეს-კონფერენციაზე და აღნიშნა, რომ სამხედრო მინისტრის შეხვედრა შპორტბუნდის პრეზიდენტთან, რომლის შემდეგ ჩატარდა კიდეც ზემოხსენებული კონფერენცია, საიდუმლო ხასიათს ატარებდა.

ჟურნალისტები სვამენ კითხვას: რად გადაწყვიტა ჰასელმა თავისი სამინისტროს სახსრებიდან სპორტისათვის თანხების გაღება? „სპორტსმენებთან მსგავსი მეგობრობა არჩევნების წელს, — წერს გავლენიანი გაზეთი „ფრანკფურტერ რუნდშაუ", — უცილობელ მიზნად ისახავს გააუმჯობესოს ამომრჩეველთა ხმებისთვის დიდი ბრძოლის პერსპექტივები".

მართო ამაშია საქმე? იგივე „ფრანკფურტერ რუნდშაუ" აღნიშნავს, რომ ჰასელს აწუხებს ბუნდესვერში გაერთიანებულთა ცუდი ჯანმრთელობა.

სამხედრო სამინისტრო წინათაც ახდენდა ზეგავლენას შპორტბუნდზე და მოითხოვდა დასავლეთგერმანული სპორტის სრულ მილიტარიზაციას. ალბათ, ჰასელსა და დაუმეს შორის დაიდო ახალი ხელშეკრულება ამ საკითხის მოგვარების თაობაზე. ამას კერძოდ, მოწმობს არაორაზროვანი ქარაგმული ცნობა პრესისა, რომ სამხედრო სამინისტრო „შპორტბუნდთან თანამშრომლობს კლუბებისათვის კრედიტების განაწილების საქმეში", ე. ი. მძლავრ ფინანსურ დაწოლას განახორციელებს კლუბების პოლიტიკაზე.

## 50 წრეზე — მეორე

**ხარკოვი.** (ტელეფონით). გრძელდება „დინამოს" ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობა ტრეკზე ველორბოლაში. ტანდემი მოიგო უკრაინელთა წყვილმა (ე. კოზინი—გ. აბრამსონი). 100 წრეზე ჯგუფურ რბოლაში გაიმარჯვა მ. არხიპოვმა (უზბეკეთი). ქალთა შორის წარმატებით გამოვიდა საქართველოს გუნდის წევრი ლ. სტაშევსკაია. ჯგუფურ რბოლაში 50 წრეზე იგი მხოლოდ ე. ვასილკინას (რსფსრ) ჩამორჩა და II ადგილი დაიკავა.

# მრავალტირაჟიანი გაზეთის პრიზზე

დიდი ხნის ისტორია აქვს მეგობრობას, რომელიც დამყარდა თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნის" სპორტსმენებსა და მრავალტირაჟიან გაზეთ „კომუნისტური შრომისათვის" რედაქციის კოლექტივს შორის. ამ მეგობრობის საფუძველი ისაა, რომ რედაქციის მუშაკებს უყვართ სპორტი — თამაშობენ ჭადრაკს, მაგიდის ჩოგბურთს. მონაწილეობენ ტურისტულ ლაშქრობებში, გაზეთის ფურცლებზე რეგულარულად აშუქებენ საწარმოს სპორტულ ცხოვრებას. ისნელ სპორტსმენებს შორის ბევრია მუშკორი, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ გაზეთში. მათ შორის არიან: ფაბრიკის უფროსი ინსტრუქტორ-მეთოდისტი ვ. გედევანიშვილი, ინსტრუქტორ-მეთოდისტები ვ. თვაური, ნ. მანკოვსკაია, ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარე მ. დანდუროვი, მუშა-სპორტსმენები — ი. საგინაშვილი, ე. მოსიაშვილი, ა. მაჭავარიანი, ლ. არუთინოვი და სხვები.

სპორტსმენთა და საფაბრიკო გაზეთის რედაქციის თანამშრომელთა ამ თანამეგობრობაში წარმოიშვა იდეა: ტრადიციად დაემკვიდრებინათ მრავალტირაჟიანი გაზეთის თასის გათამაშება ფეხბურთში.

მიმდინარე წლის ეს ასპარეზობა თითქმის ერთ თვეს გრძელდებოდა, რომელშიც მონაწილეობდა ფეხბურთელთა 10 გუნდი.

ამ დღეებში შედგა ფინალური მატჩი. თამაშობდნენ ფაბრიკის სამმართველოსა და IV საამქროს გუნდები. გაიმარჯვეს სამმართველოს ფეხბურთელებმა — 3:1.

გაზეთის პრიზის დაწესებამ დიდი ინტერესი გამოიწვია საწარმოს სპორტსმენებში. ხელი შეუწყო სპორტის მასობრივ ზრდას, მის პოპულარიზაციას, ახალგაზრდებს შორის ნიჭიერი, პერსპექტიული ფეხბურთელების გამოვლინებას.

**ნ. მარგველაშვილი,**

შეჯიბრების მთავარი მსაჯი, გაზეთ „კომუნისტური შრომისათვის" რედაქტორი.

## რ ო გ ო რ დავაშამათოთ?

ეს ამოცანა „ლელოს" გამოუგზავნა იუგოსლაველმა პრობლემისტმა მილენკო ბუკიჩმა, რომელიც მას ერთ-ერთ თავის საუკეთესო ნაწარმოებად მიაჩნია.

**მ. ბუკიჩი (იუგოსლავია)**



შამათი 6 სვლაში.



ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში სპორტულ ტანვარჯიშში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ჩეხოსლოვაკიელ ქალთა გუნდის ლიდერმა ვერა ჩასლავსკამ. იაპონიის დედაქალაქში მან ყველა ვარჯიში უნაკლოდ შეასრულა და მრავალჭიდში საგრძნობლად გაუსწრო მეტოქეებს. ჩასლავსკამ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თავს მხოლოდ ერთი თვით დასვენების უფლება მისცა, რის შემდეგ კვლავ განაახლა წვრთნა, ვინაიდან წინ არანაკლები საპასუხისმგებლო ასპარეზობა — ევროპის თასის გათამაშება ელოდებოდა. ოლიმპიური ჩემპიონი აქაც ჩვეული სინარნარით ასრულებდა ვარჯიშებს და კვლავ მიუწვდომელი იყო. იაპონურ ოქროს მედლებს ძვირფასი ნადავლი — ევროპის თასიც მიემატა.

სურათზე: ვ. ჩასლავსკა თასით.

ფოტო ჟურნალ „სპორტოვეციდან".

# უცხოეთის ამბები

## ყველაფერი ვისკის ბრალია

ამერიკული პრესის უკანასკნელი ცნობით „ჭოკში მსოფლიო რეკორდსმენად აღიარებულ იქნა რიჩარდ ბლენდი". მძლეოსნობაში არავის გაუგონია ასეთი გვარი. რატომ „ჭოკში რეკორდსმენი" და არა „ჭოკით ხტომაში", როგორც ეს იწერება? ეს შეცდომა არაა. ბლენდი ნამდვილად „რეკორდსმენია ჭოკში". 79 დღე და ღამე იგი მართლაც იჯდა 15 მეტრის სიმაღლის ჭოკზე, როცა „ახალი რეკორდსმენი მიწაზე დაეშვა, განაცხადა: ახალი საქმეობა, რომელსაც მე დავეუფლე, პოპულარული ხდება და მას განუსაზღვრელი პერსპექტივები აქვს. როცა მე ჭოკზე ჰაერში ვიყავი გამოკიდებული, ჩემთან მოდიოდა ბევრი ადამიანი, აინტერესებდათ თუ რას ვაკეთებდი დღისით ან ღამით, რას ვჭამდი და რას ვსვამდი. მე მათ ვუთხარი, რომ ყოველთვის ვსვამდი ერთი და იგივე ხარისხის ვისკს და მალე ჩემს მსოფლიო რეკორდს 100 დღემდე ავიყვანდი".

სწორედ ვისკის რეკლამაშია ძაღლის თავი დამარხული. ჯერ კიდევ 1937 წელს ბლენდი დასეირნობდა ქუჩებში პლაკატით და რეკლამას უკეთებდა ვისკს, შემდეგ კი თავისი საქმიანობა უფრო „მაღალ საფეხურზე" აიყვანა და ჭოკზე ჩამოკიდებული აკეთებდა ამას. ფირმის პატრონებმაც არ დააყოვნეს — ხელფასი გაუდიდეს. მას შემდეგ გავიდა 25 წელი, მაგრამ რეკორდსმენმა არ უღალატა თავის პროფესიას, იგი სულ უფრო აუმჯობესებს თავის „შედეგს".

## „დიდი ხანია სასიკვდილოდ განწირული ვარ"

ავტომობილით სისწრაფეში მსოფლიო რეკორდის (644.96 კმ საათში) მფლობელმა ინგლისელმა დონალდ კემპბელმა ამას წინათ გააკეთა სენსაციური განცხადება. მან თქვა, რომ უახლოეს სამ წელში სამთვლიანი რეაქტიული ავტომობილით იგი აპირებს ერთი მილის მონაკვეთზე მიაღწიოს ფენომენალურ სისწრაფეს — 1350 კილომეტრს საათში. მრბოლელი ამას განახორციელებს ავსტრალიის მარილიან ტბაზე.

უპასუხა რა შეკითხვებს, კემპბელმა თავისი მანქანა, რომელიც ჯერ კიდევ აგების პროცესშია, ასე დაახასიათა. მას ექნება 6 მეტრი და 70 სანტიმეტრი სიგრძე, 3 მ 35 სმ სიგანე და 91.4 სმ სიმაღლე. წონა დაახლოებით 1800 კილოგრამი იქნება. მრბოლელმა აღნიშნა აგრეთვე, რომ წარმატებითი სტარტისთვის სჭირდება აბსოლუტურად სწორი და გლუვი ტრასა, რომლის სიგრძე დაახლოებით 10 მილი იქნება.

თავის დროზე ინგლისელ სპორტსმენს არა ერთხელ უთქვამს, რომ ყოველ რბოლაში იგი სიკვდილის საშიშროების წინაშე არის. მაშინ ხომ ნაკლები სისწრაფე იყო და ნაკლები სიძნელეები. რეკორდსმენს ჰკითხეს პირადი უსაფრთხოების თუ რა საშუალებები განხორციელდება ახალი ავტომანქანის აგების დროს, რომელსაც აფინანსებს ინგლისის რამდენიმე დიდი საავტომობილო ფირმა. კემპბელმა უპასუხა, რომ ამისათვის კეთდება ზოგიერთი რამ, თანაც დაუმატა: „რასაკვირველია, ყველაფერი ეს არ მაძლევს არავითარ გარანტიას. მე ხომ დიდი ხანია ავირჩიე სასიკვდილოდ განწირულის პროფესია?".

## რატომ მიიწევს რობინსონი რინგისკენ?

პროფესიონალ მოკრივეთა შორის ნახევრადსაშუალო და საშუალო წონაში მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს ამერიკელ ზანგს რეი რობინსონს სულ ახლახან შეუსრულდა 45 წელი. ეს ასაკი მოკრივისათვის სრულიად არაა შესაფერისი. მოკრივეთა მსოფლიო ასოციაცია, რომელიც აერთიანებს პროფესიონალ მოკრივეებს, საზოგადოებრიობის მოთხოვნით იძულებული იყო რობინსონისთვის უარი ეთქვა შემდგომ ბრძოლებში მონაწილეობაზე. მაგრამ მოკრივემ ყურად არ იღო ასოციაციის მოთხოვნა. ამ დღეებში იგი წარსდგა საექიმო კომისიის წინ, რომელსაც უფლება უნდა მიეცა მისთვის ჯო ჯიარდელოსთან მსოფლიო ჩემპიონობისთვის მატჩზე. „ფერმკრთალი და დაბნეული რობინსონი ელოდა კომისიის გადაწყვეტილებას", — წერს ავსტრიული გაზეთი „ფოლკსშტიმე". მთავარმა ექიმმა დონ რომეომ, რომელიც გაზეთების აზრით, ერთ თუ ასე-ცოტა „გასამრჯელოს" იღებს გადაბერებული მოკრივეებისაგან, განაცხადა, რომ რობინსონი „საერთოდ ჯანმრთელია".

რაშია საქმე? რად უნდა რობინსონს, რომელიც უკვე ვერ შეძლებს ჯიარდელოს იერიშების მოგერიებას (იგი ორჯერ უფრო ახალგაზრდაა რობინსონზე), რომ მაინც მიიწევს რინგისკენ? „გთხოვთ, — უთხრა რობინსონმა ჟურნალისტებს, — არ დაწეროთ, რომ საქმე ეხება ფინანსურ მიზეზებს". რობინსონს ყველა გზა მოეჭრა. იგი უფულოდ დარჩა და ჯიარდელოსთან მატჩისგან იმედი აქვს (ყოველგვარი შედეგის მიუხედავად) მიიღოს დაახლოებით 365 ათასი დოლარი. რობინსონ-ჯიარდელოს ბრძოლა — პროფესიული კრივის მორიგი კომედია — დანიშნულია 25 სექტემბრისათვის.

## უნგრელთა გამარჯვება

მაგდებურგში (გდრ) დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ უნგრეთის პირველი ლიგის კლუბი „შალგოტარიანი", „აუფბაუ" (მაგდებურგი), ქ. მაგდებურგის ნაკრები და „უტ არადი" (რუმინეთი).

წარმატება ხვდათ წილად უნგრელ ფეხბურთელებს. მათ ნახევარფინალში მოუგეს „აუფბაუს" (3:2), შემდეგ მაგდებურგის ნაკრებს (2:0) და დაისაკუთრეს პირველი ადგილი.

## „შუა ევროპის თასზე"



დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობს „შუა ევროპის თასის" ტრადიციული გათამაშება ფეხბურთში. დამთავრდა შეჯიბრების პირველი სტადია ქვეჯგუფებში.

პირველ ქვეჯგუფში გამარჯვება დარჩათ „მოტორსა" (გდრ) და „ტატრანს" (ჩეხოსლოვაკია), მეორეში — „ემპორსა" (გდრ) და „ზაგლემბეს" (პოლონეთი), მესამეში — „ჟელეზნიჩარსა" (იუგოსლავია) და „ფკ ლაიპციგს" (გდრ), მეოთხეში — „ჰემოს" (გდრ) და „სლოვნაფტს" (ჩეხოსლოვაკია).

„შუა ევროპის თასი" ყველაზე ხანგრძლივი საერთაშორისო შეჯიბრებაა — იგი ერთ წელს გრძელდება. ფინალური მატჩი შედგება მომავალი წლის ზაფხულში.

## ურუგვაელთა დარდი და იმედი

ურუგვაელმა ფეხბურთელებმა საკმაოდ იოლად სძლიეს პერუსა და ვენესუელის გუნდებს და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. შესარჩევ თამაშებამდე კი ბევრი სპეციალისტი დაეჭვებულიც კი იყო ურუგვაელთა წარმატებაში. რატომ? მართალია, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებს მაღალი საერთაშორისო რეპუტაცია აქვთ, მაგრამ ნაკრებს თამაში უხდებოდა წამყვან მოთამაშეთა გარეშე, რომლებიც უცხოეთის გუნდებში გამოდიან (კუბილა, მატოსასი, სასია, გონზალესი, სოსა, მაიდანა), ამიტომ ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციის მესვეურებს ფაქტიურად თავიდან მოუხდათ ნაკრების ჩამოყალიბება.

უკვე რამდენიმე თვეა ურუგვაის ნაკრებს სათავეში ჩაუდგა გამოცდილი სპეციალისტი რ. მილანსი. მთავარი, რაც მას აწუხებს, ესაა კლუბებთან ურთიერთობის საკითხი. არც „პენიაროლი" და არც „ნასიონალი", კლუბები, რომელთა ხელშიცაა ფაქტიურად ნაკრების ბედ-იღბალი, არაფრად დაგიდევენ მსოფლიო ჩემპიონატს. მათთვის მთავარია ერთმანეთთან მეტოქეობა ეროვნულ ჩემპიონატში, რომელიც აშკარა მტრობაში გადაიზარდა. მილანსი აცხადებს, რომ თუ ფედერაცია არ დაეხმარება მოაწესრიგოს ურთიერთობა კლუბებთან, ლონდონში წარმატებით გამოსვლაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

— როგორ შეგვიძლია გავამართლოთ ჩვენი გულშემატკივრების იმედები, როდესაც ამდენი წამყვანი მოთამაშე უცხოეთშია წასული და დანარჩენებსაც ძუნწად გვაძლევენ კლუბები. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებთ რაც შეგვიძლია, მაგრამ ახლა ურუგვაიში დიდი ილუზიებია შექმნილი მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე.

მილანსმა ჟურნალისტებს გააცნო ურუგვაის ნაკრების ძირითადი შემადგენლობა, რომელიც სრულიად არაა ცნობილი ევროპაში, იგი ძირითადად ახალგაზრდებისგან შედგება: მეკარე მარუშკევიჩი, მცველები — მარტინესი, გონკალვესი, მანიკერა, ნახევარმცველები — ჩონკუნეგი, კაეტანო, თავდამსხმელები — ურუსმენდი, როჩა, სილვა, დოუკსასი და მენეზესი. ამ შემადგენლობიდან საერთაშორისო აღიარება აქვთ გამოცდილ ცენტრალურ მცველს გონკალვესს, თავდამსხმელებს როჩასა და დოუკსასს. დოუკსასი თავდასხმის „დისპეტჩერია", ხოლო როჩა გამოირჩევა მაღალი ტექნიკითა და დიდი შედეგიანობით.

## ფიფა — რასისტების წინააღმდეგ

ფიფა-ს აღმასკომმა ისრაელის ფეხბურთის ფედერაციას აუკრძალა მიიწვიოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნაკრები ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე, რომელსაც ტელ-ავივის კლუბი „მაკაბი" ატარებს. ეს გადაწყვეტილება ფიფა-მ მიიღო იმ რასიული პოლიტიკის პასუხად, რომელსაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს.

ამავე დროს ფიფა-ს აღმასკომმა გამოაცხადა, რომ მომავალშიც აუკრძალავს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნაკრებსა და საკლუბო გუნდებს ყველა საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობას, რომელსაც ფიფა ან მასში შემავალი ფედერაციები ატარებენ.

## თასის ფინალი — ლისაბონში?

პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციამ თხოვნით მიმართა უეფა-ს პრეზიდენტს ჩემპიონთა თასის მორიგი გათამაშების ფინალი 1966 წელს ჩაატაროს ლისაბონში.

მიმომხილველთა აზრით, პორტუგალიელებს დიდი შანსები აქვთ მიიღონ თანხმობა. ადრე ისინი ხომ უსამართლოდ თვლიდნენ უეფა-ს გადაწყვეტილებას „ბენფიკასა" და „ინტერნაციონალეს" ფინალური მატჩის მილანში ჩატარების შესახებ და ახლა, ეტყობა, მიიღებენ კომპენსაციას.

პორტუგალიის ფეხბურთის მესვეურებს მიაჩნიათ, რომ „ბენფიკა", რომელსაც კვლავ ბ. გუტმანი უდგას სათავეში, შეძლებს დაიბრუნოს 1963 წელს დაკარგული ჩემპიონთა თასი.

რედაქტორის მაგიერ
ზ. ჯაფარიძე.


თბილისის სპორტულ ბაზრები

ფეხბურთი. „დინამოს" სტადიონი. 9 აგვისტო. სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასი. (II ჯგუფი). „ლოკომოტივი" (თბილისი) — „თერგი" (გროზნო). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 19 ს.


საქართველოს სსრ სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭო, საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაცია და გაზეთ „ლელოს" რედაქცია იუწყებიან სსრ კავშირის დამსახურებული ოსტატის, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის, საკავშირო კატეგორიის მსაჯის, საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციის თავმჯდომარის

**ნიკოლოზ გიორგის ძე მეიფარიანის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კოლექტივი იუწყება ტანვარჯიშის კათედრის გამგის

**ნიკოლოზ გიორგის ძე მეიფარიანის**

გარდაცვალებას.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 9-58-14, პასუხისმგებელი მდივანი — 9-58-47, ხამდივნო — 3-95-20, სპორტული განყოფილება — 3-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-81.



ИНДЕКС 86448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00744